№ 175

შაბათი, 15 აგვისტო, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 175

შაბათი, 15 აგვისტო, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა № 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 18 აგვისტოს.**

---

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ სენაკის სათავად-აზნაურო სკოლაში თავისუფალია ადგილი ორის მასწავლებლისა. მასწავლებლობის მსურველთ უნდა მიჰმართონ თხოვნით საზოგადოების გამგეობას. (5—უ.—2)

---

**გორის ანასტასიის საქალებო პროგიმნაზიაში** მისაღებ მოსწავლეთა გამოცდა დაიწყება 27—28 აგვისტოს, 31 აგვისტოს მეორედ გამოიცდებიან სასწავლებლის ზოგიერთი მოსწავლენი, 1 ენკენისთვეს გარდახდილ იქმნება პარაკლისი და დაიწყება სწავლა.

მოსამზადებელ კლასის უმცროსა განყოფილებაში მიღებულ იქმნებიან ბავშვები არა ნაკლებ 7 წლისანი, აგრეთვე ისინი, რომელთაც არ ეცოდინებათ რუსული ენა და წერა-კითხვა დედა-ენაზედ. მოსწავლეთს მისაღებად ყველა კლასშია თავისუფალი ადგილი. (3—უ—3)

---

**გორის სამასწავლებლო სემინარიაში** 26 აგვისტოს მეორედ გამოიცდებიან სასწავლებლის ზოგიერთი მოსწავლენი. ამავე დღეს მკურნალი შეამოწმებს სასწავლებელში შემოსასვლელ ყმაწვილებს. 27 აგვისტოს მოსწავლენი გამოიცდებიან წერაში და 28 აგვისტოს—საგნებში. 1 ენკენისთვეს გარდახდილ იქმნება პარაკლისი და დაიწყება სწავლა. თავისუფალი ადგილია უმცროსს მოსამზადებელს კლასში 5 (მხოლოდ თათრებისათვის) და უმფროსში—10. (3—უ—3)

---

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**პ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის-ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; არიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

---

**მთავრობის განკარგულებანი**

—

უმაღლესის ბრძანებით, რომელიც უმართებულესს სენატს ამა წლის 19 ივლისს ჰბოძა, ყუბანის ყაზახთა ჯარის შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი გერშელმანი დანიშნულ იქმნა ქუთაისის გუბერნატორად.

გადაყვანილ იქმნა ყაბარდოს ქვეითა რაზმის პოდპორუჩიკი კავკასიძე შუშის ადგილობრივ რაზმში.

---

## ახალი ამბავი

—

*** მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე და გორის ეპისკოპოსი ლეონიდე დღეს, 15 აგვისტოს, სიონის ტაძარში სწირავენ.

*** ამ ახლო ხანში ტფილისს ჩამოვა ფინანსთა სამინისტროს სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტის დირექტორი ვ. ი. კოვალევსკი, აქვე ჩამოვლენ კავკასიის სახელმწიფო პალატების გამგენი და ვ. ი. კოვალევსკის თავმჯდომარეობით სხდომა ექმნებათ ახალის სამრეწველო გარდასახადის შემოღების შესახებ.

*** ტფილისის გუბერნატორმა დაათვალიერა ტფილისის, ბორჩალოს და გორის მაზრის საზღვრების ახლოს მდებარე ტყეების ხევები და სამალავებს, სადაც ავაზაკთა ბრბონი თავს ინახვენ. ბ-ნმა გუბერნატორმა, რომელსაც თან ახლდა ტფილისის მაზრის უფროსი თავ. ლ. ჯანდიერი, დაიბარა ამ ალაგას გორის მაზრის უფროსის თანაშემწე თავ. ჯანდიერი, რომელიც გორის მაზრაში დარაჯებით ურთ დაეძებს ალაი-ბეგ მურსაკულოვის ბრბოს, და აგრეთვე ბორჩალოს მაზრის უფროსი, და აუხსნა, როგორ უნდა მოიქცნენ სამივე მაზრის ადმინისტრაცია ავაზაკთა ბრბოს ამ ხეობაში შეფარების დროს, რა ალაგას და რამდენი დარაჯი უნდა იდგეს და სხვ. ბ-ნი გუბერნატორი 13 აგვისტოს ტფილისს დაბრუნდა და დღეს კი, 15 აგვისტოს, გორის მაზრაში გაემგზავრება, საიდგანაც ორშაბათს დაბრუნდება ტფილისს.

*** მესამე განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ გუშინ და გუშინ წინ გაარჩია 28 კაცის საქმე, რომლებისათვისაც ქალაქის გამგეობას ოქმი შეუდგენია უვარგისის ხორაგის გაყიდვისა, უსუფთაობისა და სხვათა გამო. ამათ შორის 27 კაცს მოსამართლემ ჯარიმის გარდახდა მიუსაჯა 5 მანეთიდგან ხუთ თუმნამდე, მხოლოდ 1 საქმე—სტეფანოვისა, რომელსაც ჰბრალდება უვარგისის ფქვილის გაყიდვა, გადასდო იმ დრომდე, ვიდრე ამ ფქვილს ქიმიურად გასინჯავენ.

*** წელს ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში ხელ-მეორედ ეკზამენები მოხდება 1, 2, 3 და 4 სექტემბერს. ამ წელს სკოლაში სულ 45 ვაკანსიაა, ისიც 1 მოსამზადებელ განყოფილებაში. იმ შემთხვევაში, თუ ხელ-მეორედ ეგზამენის შემდეგ თავისუფალი ადგილი აღმოჩნდა, მისაღები საკონკურსო ეგზამენები მოხდება 5 და 7 სექტემბერს. შესვლის მსურველთ თხოვნა 30 აგვისტოდკან უნდა შეიტანონ. 10 სექტემბრიდგან სკოლა ახალს სადგომში გადაქვთ, სახელდობრ ლევაშოვის ქუჩაზედ ივ. ჯაიანის სახლში. იმის გარდა, რომ ეს სადგომი იაფადა ჯდება, იგი სხვაფრივაც სჯობია ძველს სადგომს: ჰაერი კარგია და სახლიც უფრო მოხერხებული. სახლის შეკეთებისა გამო სწავლა სკოლაში 16 სექტემბერს დაიწყება.

*** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ინჟენერი ბლანშო. გუშინ, 14 აგვისტოს, ქალაქის სატეხნიკო კომისიის წევრთ და აგრეთვე ქალაქის გამგეობის წევრთ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკმა და ა. ა. ვერმიშევმა მიიწვიეს ბ-ნი ბლანშო ავჭალაში წყლის მილის მანქანების დასათვალიერებლად.

გადაწყვეტილია აგრეთვე სთხოვონ ინჟენერს ბლანშოს გამოიკვლიოს—შესაძლებელია თუ არა მტკვრის ძალა, როგორც მდინარისა, გამოიყენოს კაცმა ცხენის რკინის გზისა და ქალაქის განათებისათვის საჭირო ელექტრონის მანქანების სამუშაოდ.

*** ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი, დღეს, 15 აგვისტოს, გორის მაზრაში წავა.

*** ამას წინად ვწერდით, რომ მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი შემოდგომაზედ თელავისა, სიღნაღისა და თიანეთის მაზრებში წავა იქაურის ეკკლესიების დასათვალიერებლადაო. ექსარხოსი ტფილისიდგან 5 სექტემბერს წავა სად. ყარაიაზში, ხოლო იქიდგან ცხენით დავით გარეჯის უდაბნოში. ორშაბათს, 7 სექტემბერს, ექსარხოსი სიღნაღში წავა, იქიდგან 8 სექტემბერს ბოდბის წმ. ნინოს მონასტერში, სადაც წირვა-ლოცვის შემდეგ შეისვენებს. შემდეგ დაათვალიერებს ნუკრიანის, ბოდბეს და მაღაროს ეკკლესიებს და მონასტერშივე დაბრუნდება. ბოდბის მონასტრიდგან მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ფლაბიანე 9 სექტემბერს ხირსის მონასტერში წავა, ხოლო გზა და გზა დაათვალიერებს ბოდბის-ხევისა და ფანიანის ეკკლესიებს. წირვა ლოცვის შემდეგ ხირსის მონასტერში ექსარხოსი იმავე დღეს დაათვალიერებს შემდეგ სოფ-

---

# ფელეტონი

—

**უცხოთა შორის**

ჰაერში საფრენი ახალი მანქანა.—„ავიონი“.—ცოტა რამ სიკვდილით დასჯის შესახებ.—ყრუ-მუნჯის მორჩენა.—შეიძლება თუ არა დედამიწის გადაბრუნება.

დღე არ გავა ისეთი, რომ რომელსამე ჟურნალ-გაზეთში არ იყოს დაბეჭდილი, ამა და ამ მეცნიერმა ან კიდევ უმეცარმა კაცმა ჰაერში საფრენი ახალი მანქანა გამოიგონაო, მანქანა კიდეც კეთდება და დღე-დღეზე მზად იქმნებაო. ერთი ვითომ ამერიკაში აკეთებს ასეთს მანქანას, მეორე საფრანგეთში, მესამე ინგლისში, მეოთხე რუსეთშიო. მაგრამ გავა დრო და ვერც ერთი მანქანა, არა თუ ჰაერში არა ფრინავს, პირიქით ზოგიერთი მათგანი ადგილიდგანაც კი ვერ იძვრის.

ეხლახან ვიღაც ადერს გაუკეთებია ერთი დიდი მანქანა ფრინველის მზგავსი. ამ მანქანის ღირსება ის არის, რომ ჰაერში ასასვლელად საჭირო არ არის გაზი. მანქანას უზარმაზარი ფრთები აქვს გაკეთებული და ამ ფრთების ძალით უნდა იფრინოს ჰაერში. საზოგადოდ, ადერს ისე მოსწონს თავისი ფრინველის მზგავსი მანქანა, რომ სახელადაც-კი ფრინველი დაურქმევია. სიტყვა „ავიონი“ წარმოსდგება ლათინურ სიტყვისაგან avis—ფრინველი. ეს ახალი მანქანა უკვე მზად იყო. ადერმა მანქანა თვლებზე შეაყენა და გაუდგა გზას. წარმოიდგინეთ ხალხის გაოცება, როდესაც მანქანამ ჯერ კარგა მანძილი თავის თავად გაიარა, მერე ცოტათი ჰაერში ავიდა. მაგრამ ამ დროს დაუბერა ქარმა. ადერი შეკრთა, მოინდომა მანქანის გაჩერება, რომ ისევ ძირს დაშვებულიყო, მაგრამ მანქანა გადმობრუნდა და ერთი ფრთა მოსტყდა. ადერი მაინც თავისას არ იშლის, ასე ამბობს, ფრთას შევაკეთებ და კიდევ ვსცდი ჰაერში აფრენასაო. ღმერთმა ხელი მოუმართოს. მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ მეცნიერებმა უკვე განაცხადეს, ყოვლად შეუძლებელია ისეთის მანქანის გაკეთება, რომელსაც ფრთების შემწეობით შეეძლოს ჰაერში ფრენაო. მართლაც და, თუ ფრინველს შეუძლიან ჰაერში ფრენა, ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ ადამიანსაც შეეძლოს, რაც უნდა დიდრონი და კარგი ფრთები გაიკეთოს. ფრინველს ბუნებამ ფრთების გარდა თანვე დააყოლა ფრენის უნარი; გარდა ამისა, ვინ არ იცის, რომ ბარტყს ფრინველი კარგა ხანს ასწავლის ფრენას. ადამიანს-კი ეს არ შეუძლიან, ვიდრე ფრენას ისწავლის, უეჭველია, სადმე კისერს მოიტეხავს. ასე დაემართა საბრალო ლილიენტალს, რომელმაც ფრთები გაიკეთა და ფრენასა სწავლობდა.

* *

საფრანგეთში კანონად არის: კაცს რომ სიკვდილითა სჯიან, პატრონებს ნება აქვთ გვამი დაასაფლავონ და გასაჭრელად არ დაანებონ მკურნალებს, მაგრამ ზოგიერთნი მკურნალნი ყურადღებას არ აქცევენ ამ კანონს და მიაქვთ გასაჭრელად. განსვენებული ფიზიოლოგი პოლ-ლუა ბევრჯელ დაესწრო პარიზში კაცის სიკვდილით დასჯას და დარწმუნდა, რომ ადამიანი, ვიდრე ცულით თავს მოჰკვეთავდნენ, უკვე მკვდარია შიშისაგან. მკურნალი კაპიტანი დაესწრო პარიჟში ავაზაკის კარსარას სიკვდილით დასჯას და აი რასა სწერს: „როდესაც მიიყვანეს ავაზაკი მანქანასთან და თავი დაადებინეს მოსაჭრელად მკვდრის ფერი ედო, ძალლონე დაჰკარგოდა და უკან იწევდა; მანქანამ რომ თავი მოჰკვეთა, ცვარი სისხლი არ გადმოვარდა; აქედგან სჩანს, რომ ტვინში სისხლი სრულიად გაშრობოდა, მხოლოდ შემდეგ კისრის ძარღვებიდგან ამოსკდა სისხლის ორი შადრევანი. ამის დასასაბუთებლად კაპიტანი ამბობს, რომ შიშისაგან გულს სისხლი აღარ გამოუშვია ტვინისაკენ და როდესაც მანქანის ბასრი დანა ჰკვეთავს თავს, მაშინ მთელის სხეულის სისხლი მოძრაობაში მოდის და გზაც ეხსნება ძარღვებში. ვის არ გამოუცდია, რომ საზოგადოდ შეშინებულს სისხლი უჩერდება და შემდეგში-კი იწყობს ჩქარს მოძრაობასა. ინგლისის გამოჩენილს მეცნიერს ჯონ ხონტერსაც ამგვარი სიკვდილი ეწვია; მოწაფეების გამოცდის დროს ერთი შეუფერებელი კითხვა მისცა და როდესაც ჩაუფიქრდა, ისე შერცხვა, რომ იქვე სული განუტევა. გვამი გასჭრეს და აღმოჩნდა, რომ გულში სისხლი შეჰგუბებოდა. სენაკი ამტკიცებს, რომ ერთი ქალი გემის დაღუპვას შეესწრო და შიშისაგან გარდაიცვალაო. ერთმა იგლისელმა ბრიყვმა ხუმარამ განიზრახა შეეშინებინა სასაფლაოზე ქალი, რომელსაც იქით უნდა გაევლო. წამოისხა სუდარა და საფლავთან მიწვა; ქალმა რომ გამოიარა, უცებ წამოდგა, ქალს გული გაუსკდა შიშისაგან და იქვე მოკვდა. 1746 წელს, ინგლისში, მეფის იაკობის მოღალატე ოფიცერი ჯემს დაუსონი სიკვდილით დასაჯეს; ამ დროს იმის საცოლოც იქ იყო, დასჯის შემდეგ ქალიც იქვე გარდაიცვალა. სხვათა შორის კაპიტანი მოგვითხრობს ერთს შესანიშნავს ამ-

ლების ეკლესიებს: ფაშაანისა, პრასიანისა, მირზაანისა, ოზაანისა, არბოშიკისა და ზემო და ქვემო მაჩხაანისას; 10 სექტემბერს: ქუგაანისა, ასანურისა, საქობოსი, მაშნაარისა, ვაქირისა, ანაგისა, კარდანახისა, ბაკურციხისა, ვეჯინისა და გურჯაანისას; 11 სექტემბერს: ჩუმლაყისა, ახალშენისა, ველისციხისა, მუკუზანისა, ურიათუბნისა, შაშიანისა და ვაჩნაძიანისას; ხოლო 12 სექტემბერს ექსარხოსი დაათვალიერებს თელავის მაზრის შემდეგ სოფლების ეკლესიებს: აკურისა, წინანდლისა, კისისხევისა, კონდოლისას და თელავში მიბრძანდება, სადაც სასულიერო უწყების სასწავლებლებს გასინჯავს. 13 სექტემბერს თელავის ტაძარში წირვის შემდეგ ექსარხოსი წავა კურდღელაურსა, ახალშენსა, ოჟიოსა და ალავერდის ტაძარში, 14 სექტემბერს—ქისტაურსა, ზემოხოდაშენსა და აწყურში, 15 სექტემბერს—იყალთოსა, რუისპირსა, არტოზანსა, ვარდისუბანსა და შუამთის მონასტერში, საიდგანაც მისი მაღალყოვლად უსამღვდელოესობა 16 სექტემბერს დაბრუნდება ტფილისში.

*** პროექტი იმ საზოგადოების წესდებისა, რომელსაც აზრად ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში მოსწავლეთა ყოფა-მდგომარეობის განკარგება აქვს, კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ უკვე მოიწონა თურმე.

*** ამას წინად გორის მაზრის სოფ. ქარელში მომხდარ ავაზაკობის შესახებ გაზ. „ახ. მიმ.“ იუწყება: 10 აგვისტოს, ღამის 11 საათზედ, თავს დაესხნენ შეძლებულ ებრაელების ძმ. ისხაკა და ხაიმა ციციაშვილების სახლს, რომელიც შუაგულ სოფელშია. ბოროტ-განმზრახველთ კარები შეამტვრიეს, სახლში შევარდნენ და წაიღეს ფული, თამასუქები და სხვა-და-სხვა ოქროული, სულ 6.000 მანეთისა. ამ ავაზაკობის ერთად ერთის დამსწრის ისხაკას ცოლის რახილ ციციაშვილის სიტყვით, ყველა ყაჩაღები რიცხვით 8 თუ 9 კაცი, ხანჯლებითა და თოფებით ყოფილან შეიარაღებულნი. ორი მათგანი ქართულად ლაპარაკობდა თურმე, მაგრამ ძლიან ცუდად, ასე რომ დავრწმუნდი, რომ ყველანი თათრები იყვნენო. შემდეგ ყაჩაღებს ქვეიდგან რაღაც ანიშნეს, ისინიც აივანზედ გამოვიდნენ და როცა დაინახეს აუარებელი ხალხი, რომელმაც ეკკლესიის ზარის რეკაზედ მოიყარა თავი, გაიქცნენო. იმავე ღამეს, სოფელ ქვემო-ხვედურეთში, რომელიც ქარელიდგან 3 ვერსის მანძილზეა, მოჰპარეს 9 ცხენი თავ. დ. ციციშვილს და მღ. ოქროპირიძეს. ხვედურეთის მახლობლად ყაჩაღებმა გაძარცვეს თურმე ორი ებრაელი, რომელთაც 18 მანეთი წაართვეს.“

*** გაზ. „კავკას-“ს აჯიკენტიდგან დეპეშით ატყობინებენ: „12 აგვისტოს, 10 საათსა და 20 წ. აჯიკენტსა და ელენენდორფს შუა ავაზაკთა ბრბომ შეაჩერა 15 ეტლი და 40 კაცი გაძარცვა. გუბერნატორის განკარგულებით უკვე შეუდგნენ ყაჩაღების „აღმოჩენისა და შეპყრობის საქმეს“.

*** იგივე გაზეთი სწერს: „2 აგვისტოს, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე ა. ა. სამოილოვი 12 აფიცრისა, 50 ყაზახისა და 250 ჯარის-კაცითურთ გუდაუთაში წავიდა და მეორე დღეს უბრძანა აფხაზებს: 1, იარაღის აყრა და 2, იმ ოთხის ავაზაკის აღმოჩენა, რომელნიც აფხაზების სოფლებში იმალებიან. გუბერნატორის თანაშემწე სოხუმის ოლქში ერთს თვეს დაჰყოფს“.

*** 3 აგვისტოს ტფილისის მაზრის სოფ. საგარეჯოში დიდი სეტყვა მოსულა და ვენახები წაუხდენია. ზარალი 14,800 მან. იქმნება თურმე („კავკ.“)

*** სოფ. ახალ-ქალაქიდგან სწერენ გაზ. „კავკას“-ს: წელს აქეთ პურის მოსავალი გვარიანია, მაგრამ სიმინდი კი დაზარალდა სიცხეებისაგანაო. სარწყავი წყალი არა ჰყოფნოდათ და ამის გამო ხშირად ჩხუბი მოსდიოდათ. ვენახები თუმცა შარშანდელზე უკეთესია, მაგრამ ცივის გაზაფხულის გამო, ვაზმა კვირტი ადრე ვერ გამოიღო და ამიტომ ყურძნის დამწიფება შარშანდელზედ ორის კვირით დაიგვიანებს. საქონლის ჭირი ჯერაც არ მოსპობილა. სოფ. გრაკალში რაღაც სამკურნალოს მაგვარი გამართეს საქონლისათვის, მაგრამ შენობა მთლად დანგრეულია და ზევიდგან არაფერი ჰხურავს“.

*** როგორც „ტფ. ფურ.“ სწერს ნიკოლოოზის საქალაქო ორ-კლასიანი სასწავლებელი სამემრისოდ სამს კლასიანად გადაკეთდება.

*** „ტფ. ფურ.“ იწერება, ახალციხის მაზრის რამდენიმე საზოგადოებამ საჩივარი შეიტანა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში, რომ ტყის მოხელეები სახელმწიფო ტყეებიდგან 30%-ით ხის მასალას ძვირად გვაძლევენ კანონის წინააღმდეგ და საგუბერნიო ადმინისტრაციის დაუკითხავადაო.

*** ს. ამაღლება, (ქუთაისის მაზრა). აქაური მცხოვრებლები აუწერელს სიხარულში ვართ, რომ ჩვენს სოფელში დააარსა მთავრობამ მეორე-კლასიანი სამასწავლებლო სამრევლო სასწავლებელი. ბევრად თუ ცოტად წერა-კითხვას მაინც შევასწავლით ჩვენს შვილებს. დიდის მადლობის ღირსია ს. ბზვანის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი მამა გიორგი ტყეშელაშვილი. რომლის თაოსნობამ და დაუღალავმა შრომამ გვარგუნა ჩვენ ეს სასწავლებელი. მ. გიორგი დღეს ამ სასწავლებელის მმართველად არის დანიშნული და იმედია მომავლისათვისაც დიდს ღვაწლს დასდებს.

*** ს. ბზვანი, (ქუთაისის მაზრა). ამ ბოლოს ხანებში ჩვენსკენ ძლიერ გრილი დღეები სდგას; ყველა მოხარულია, რომ სიმინდის ყანები მეტად კარგია; ეზოებში საჭმელი სიმინდი შემოსულია. ღვინო-კი წელს ნაკლებად მოგვივა: ახლად ნაკეთებ ვენახს თუ ასხია, თორემ ძველი სანახევროდ ახმა. ქურდობამ ჩვენკენაც ბევრად იკლო. ეს უნდა მივაწეროთ ჩვენი „ხევისთავის“ ეზეკია კაციას ძე ჩხეიძის გულმოდგინე შრომას.

*** სოფ. ნატოხაო, (სენაკის მაზრა). ღმერთმა შეარცხვინოს და გაატიალოს წრევანდელი ძუნწი და გაუმეტებელი წელიწადი. ყანები დროზედ ვერ დაითესა, იმასაც არ ეღირსა ხეირიანი გამარგვლა-გათოხნა. ბევრი ყანები სიმინდით დათესილი გაფუჭდა გაუმარგლავი. რაც გამარგლულია, იმასაც ხეირიანი და კარგი პირი არ უჩანს. ყოველგან გაყვითლებულ-გაფუჭებულია. კვლავ ამ დროს აქეთ საჭმელი სიმინდი გვინახავს, მაგრამ წელს ჭირნახულიც და ამინდებიც დავთარ-დაბნეულია... ხეხილებმა ცოტა მოისხა და რაც მოისხა ისიც დროზე აღარ მწიფდება. ერთის სიტყვით, ყოველის მხრით დაჩაგრულ-დაძაბუნებულნი ვართ წრევანდელის ნავსის წელიწადისაგან... 4—5 აგვისტოს აღმოსავლეთის ლონიერი ქარი ჰქროდა, რომელმაც უიმისოდაც გაფუჭებული ჭირნახული უფრო წაახდინა, სიმინდები ძალზედ მიანტვ-მოანტვრია. საცაა აგერ ზაფხულიც თავდება და მაინც მოღრუბლული ამინდებია, რომელმაც დიდათ ავნო მიწის მოსავალსა..

*** ახალსენაკი. მოგეხსენებათ, რომ აქაურს მცხოვრებლებს და მოვაჭრეებს ამ სიცხე-პაპანაქებაში ერთად-ერთი სულის მოსაბრუნებელი ეგრედ წოდებული „ბულვარი“ აქვთ, სადაც დიდი თუ პატარა ყველა ამას ეტანება. სახელით არის მხოლოდ „ბულვარი“ და არა სახრავით, მაგრამ რა გაეწყობა! სულ არარაობას ეს მაინც სჯობია. აქამდის ამ მეტ-სახელიან „ბულვარში“ დასაჯდომი ფიცრის სკამები არ იყო, რომ კაცს მოსვენება შესძლებოდა. იყო უწინ, მაგრამ დალპა და შემდეგ ფიქრად არავის მოსვლია, რომ ისევ განეახლებინა. ეხლა ღმერთმა მოგვხედა და ერთმა მადლიანმა კაცმა ორგან მშვენიერი სკამი გააკეთებინა. ნეტავი სხვა ადგილმა რა დააშავა? ნუ თუ ხუთიოდე სკამის გაკეთება დიდს რასმეს შეადგენდა? ნეტავი ორიოდე ფარანიც დაედგა ვისმეს. დაღამდება თუ არა, მეტი რა გზაა, უნდა მოშორდეს აქაურობას, რადგანაც ხეებით დაბურულში ჯოჯოხეთური სიბნელე ჰსუფევს. სასურველია, ვისგანაც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს და ერთი ან ორი ფარანი და ორიოდე სკამიც გააკეთებინოს.

*** გუშინ, 14 აგვისტოს, ტფილისის პოლიცმეისტერი ლ. პ. მასტიცკი მოელაპარაკა ქალაქის გამგეობას იმის შესახებ, თუ რა ადგილი უნდა დაინიშნოს ნაგვის გადასაყრელად. ასეთი ადგილი არჩეულ იქმნა მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ანჩისხატის ქუჩასთან.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, რომ სასტუმრო ოთახები „როსსია“, რომელიც ქალაქის მეცხრე ნაწილში იმყოფება, ხიდის ქუჩაზედ, გაუქმებულ იქმნას, რადგანაც ამ სასტუმროში უეზნეობა ჰსუფევსო.

—

**შეცდომის გასწორება:** გუშინდელს „ივერიის“ მეორე ახალ ამბავში შეცდომით არის ნათქვამი: „დღეს, 14 ოქტომბერს“, უნდა იყოს: „დღეს, 14 აგვისტოს“.

## წერილი ზესტაფონიდგან

წინად მოგახსენეთ, რომ ზესტაფონი ახირებული დაბა არის-მეთქი; ვინ იწყინა, ვინ არა. ,,რადა, ჩვენც ისეთი ორფეხა კაცები ვართ, როგორც სხვებიო, ახირებული რადა ვართო, ჩვენც ვშრომობთ, ვმუშაობთ, სული გვიდგია და ვიღაც კორრესპონდენტი კი ახირებულს გვეძახისო!‘‘ დიაღ, ბატონებო, შრომაც არის და შრომაც, მუშაობაც არის და მუშაობაც: ზოგი კაცი მართლა მუშაობს, ზოგი-კი ჩხირკედელაობს, ზოგს კიდევ თავისი თავი ყველაფერს ურჩევნია და სულ თავისკენ მიითლის და მიითლის, თუმცა, როცა საჭიროა, რიხით შემოგძახებს: ,,განა კაცი ეჩო არის, სულ თავისკენ მიითლიდესო!‘‘ ჩვენ გვწამს, რომ კაცი ეჩო არ არის, მაგრამ ზესტაფონს-კი მეტი ნაწილი ასეთი ეჩოები ჰყავს: ,,ჯერ თავო და თავო, მერე-კი სხვაო‘‘. ეს არის ამ ბატონების მცნება. რას დაგიდევენ, თუ ესა, ან ის საქმე გაუკეთებელი რჩება; მიაჩეჩებენ, მოაჩეჩებენ და შაბაშ! გათავდა, გაკეთდა საქმე! დაერქვა კაცს ,,მოღვაწის‘‘ სახელი და მეტი რაღად ეპიტნავება, თუ რომ საქმე კუდ-მოწყვეტილი და თავ-წაგლეჯილი დარჩა! აბა მიმოვავლოთ თვალი აქაურობას და სიცრუე თუ გამოგვივიდეს, ჯარიმას ვიხდი ერთ გუდა ხიზილალას!

შარშან სექტემბერში გიახელ ზესტაფონში და მას შემდეგ ბედნიერება მაქვს აქ ვიცხოვრო; გავიგე, რომ აქ ყოფილა წიგნთ-საცავი, მაგრამ

---

ბავს. კარრარი რომ სიკვდილით დასაჯეს: ერთი ამტკიცებდა, როდესაც მანქანაზე თავი დაუდვეს და ვიდრე დანა გაჰკვეთავდა, რვა წუთი გავიდაო, მეორე ამტკიცებდა თორმეტიო, მაგრამ ორივენი შემცდარნი იყვნენ, რადგანაც წუთსაც არ გაუვლია, მხოლოდ ის საშინელი მღელვარე და შესაზარი მოლოდინი სისხს აგუბებს გულში და გვგონია, დიდმა ხანმა გაიარაო.

* *

მკურნალები დიდი ხანია სცდილობენ მოიგონონ რამ საშუალება, რომ დაბადებით ყრუ-მუნჯს ლაპარაკი ასწავლონ. ამ გვარ საშუალებად ყველა მეცნიერებს მუსიკა მიაჩნიათ და აი რადა. უკვე დამტკიცებულია, რომ ვისაც ყურთ აკლია, თუ რამდენჯერმე დაესწრო ოპერასა ან კონცერტს, ყურთა სმენა ემატება. ჩვენს გაზეთში უკვე იყო მოხსენებული, რომ პროფესორმა დიუსომ ყრუ-მუნჯების მოსარჩენად გამოიგონა და გააკეთა მანქანა, რომელსაც სახელად უწოდა ,,მიკროფონოგრაფი‘‘. ეხლა ვენის უნივერსიტეტის პროფესორს ურბანჩიჩს გაუკეთებია ერთგვარი საკრავი, გარმონის მსგავსი, რომლითაც სცდილობს ყრუ-მუნჯის მორჩენასა. გამოცდამ უკვე დაამტკიცა, რომ ურბანჩიჩის ცდამ ამაოდ არ ჩაიარა და რამდენიმე ყრუ-მუნჯი მოარჩინა.

* *

ეხლანდელ მეცნიერებს ასეთი საქმე, როგორც, მაგალითად, ყრუ-მუნჯის მორჩენა, ან კუზიანის გასწორება, სულ უბრალო საქმედ მიაჩნიათ. ზოგი მეცნიერი ისეთ საქმეს ეპოტინება, რომელიც ჩვენ სიზმრადაც არ მოგვესიზმრება.

ჟიულ-ვერნს დაწერილი აქვს ერთი რომანი, სახელად ,,sens dessus dessous‘‘ ე. ი. ყირამალაო. შინაარსი ამ რომანისა შემდეგია. ერთმა მოცლილმა ინჟინერმა (რა თქმა უნდა ამერიკელმა) მოიწადინა დედამიწის ნახევრად მოტრიალება ისე, რომ ეხლანდელი პოლიუსი მზისაკენ იყოს მიბრუნებული.

მერე რად დასჭირდა ამ ინჟინერს დედამიწის მოტრიალება? იმათ, რომ ჩრდილოეთის ქვეყნები მზეს შეუბრუნოს და გაათბოს და რადგანაც ჩრდილოეთის პოლიუსზე ბევრი ქვის ნახშირია, ოქრო და კიდევ ვინ იცის რა, ამიტომ, რა თქმა უნდა, დედამიწის მოტრიალება ღირს რამე. ინჟინერმა შეადგინა ამხანაგობა, იყიდა ჩრდილოეთის პოლიუსი, წავიდა აფრიკაში, იქაც იყიდა მთელი მთა კილიმა-ნჯარო, მთა გახვრიტა, შიგ ხვრელში გააკეთა უზარმაზარი ზარბაზანი, გატენა და მერე დასცალა... მაგრამ დედამიწა, როგორც ხედავთ არ მოტრიალდა. თურმე ინჟინერს ანგარიშში შეცდომა მოსვლია და ზარბაზანი ერთი ასი ათასად პატარა გაუკეთებია, ვიდრე უნდა ყოფილიყო, რომ ამ ზარბაზნის დაცლით დედამიწა მოტრიალებულიყო. ამ შეცდომის წყალობით დედამიწა ისევ ისე დარჩა, როგორც იყო და მადლობა უფალს, საფრანგეთის სახელოვანის მწერალის აზრი შეუმჩნევლად არ დარჩა. ამ ახირებულის საქმის გამოკვლევას, ესე იგი, მართლა შეიძლება თუ არა დედამიწის გადაბრუნება, შეუდგა მეცნიერი ფუშე და მართლა რომ მეცნიერულად გამოიკვლია საქმე. ჩაიკეტა კარი კაბინეტში და დაიწყო წერა. ჯერ დაეკითხა თავისს თავს: შეიძლება, თუ არა, დედამიწის გადაბრუნებაო. შეიძლებაო, თითონვე უპასუხა თავის თავს. მერე რაოდენი ძალაა საჭირო დედამიწის გადაბრუნებისათვის!.. ამის შეტყობა ხომ სულ უბრალო საქმეა. საკმარისია აიღოთ ქაღალდი, კალამი და გამოიანგარიშოთ. ფუშეს ანგარიშიდგან სჩანს, რომ დედამიწის გადასაბრუნებლად საკმარისია ძალა—რომელიც უდრის 66 სექსტილიონს ტონნას (ტონნა—62 ფუთია). აქ მომეტებულის სიმარტივისათვის მცირე განმარტებაა საჭირო. პირველი: რა არის ეს სექსტილიონი? ასეთს რიცხვს ყოველ დღე ვერ შეჰხვდება კაცი. 66 სექსტილიონი გახლავთ ციფირი 66, რომელსაც აბია კუდად 21 ნოლი—66.000.000.000.000.000.000.000. ეხლა, ვინაიდგან ერთი ტონნა უდრის 62 ფუთს, შეგიძლიანთ ზემოხსენებული რიცხვი გაამრავლოთ სამოცდა ორზე, და გაიგოთ, რამდენი ფუთის ძალაა საჭირო დედამიწის გადაბრუნებისათვის, თუმცა არა გვგონია, რომ ამ გვარად უკეთესად წარმოიდგინოს კაცმა, თუ რაოდენი ძალაა ეს ძალა. ეხლა წარმოიდგინეთ მანქანა, რომელსაც 13 მილიარდის ცხენის ძალა აქვს, ან თუ გნებავთ ერთი მილიონი ისეთი მანქანა, რომ თითოს 13 ათასი ცხენის ძალა ჰქონდეს. ეს სულ ერთია. ეხლა ეს ვიკითხოთ, რამდენ ხანს უნდა იმუშაონ ამ მანქანებმა, რომ დედამიწა მოატრიალონ?—სულ 2.000.000 წელიწადია საჭირო, მეტი არა. მანქანებისათვის ხომ საჭიროა ნახშირი—66 კვინტილიონი ტონნა და რადგანაც წელიწადში დედამიწის გულიდგან ამოაქვთ სულ 600 მილიონი ტონნა ნახშირი, ამიტომ მანქანებისათვის საჭირო ნახშირის ამოღებას დასჭირდება სულ ცოტა 100 მილიონი წელიწადი. ხომ დარწმუნდით, რომ დედამიწის გადაბრუნება დიახაც შესაძლებელი ყოფილა. მაგრამ ჩვენის აზრით, უფრო ადვილია თავი დავანებოთ, იყოს ისე როგორც აქამდე ყოფილა და, გვგონია, რომ მკითხველიც დაგვეთანხმება ამაში.

ა. ნ.

მიზეზთა გამო სხვათა და-სხვათა, გაუქმებულა. აქეთ ვცით, იქით და— არაფერი. გამგემ ა. არაბიძემ გვითხრა: განსვენებულს წიგნთ-საცავს 50 მანათი ჩემი ვალი აქვს და როცა საზოგადოება გამისწორდება, წიგნებიც მიირთვითო. საჭირო იყო ხელ-ახალი ნება-რთვა. დეკემბრის ერთს საღამოს შევიკრიბეთ: მე, თქვენი უმორჩილესი მონა, ვ. ა—შვილი, ბ. გ—ძე, ლ. კ—ძე, მ. ქ—შვილი და თვით ა. არაბიძე; შევადგინეთ წესდება და თხოვნასთან ერთად ალ. არაბიძის ხელით გავუგზავნეთ ბ-ნს ს. ელიაშვილს, რომ თავისს სახელზედ აეღო ნება-რთვა. მოვიდა როგორც იყო ნება-რთვა. ჩვენ გვეგონა, მაშინვე წევრებს მოსძებნიდა ბ-ნი ელიაშვილი და წესდების თანახმად იმათ დაეკითხებოდა, როგორ უნდა მოწყობილიყო წიგნთ-საცავის საქმე. სხვა არა იყოს-რა, ძველი წიგნებია, რომელიც ახალს წიგნთ-საცავს უნდა ჩაჰბარდეს ძველის გამგეობისაგან. ჯერ ხომ დიდ ხანს იყო ეს ნება-რთვა ქაღალდზედ და აღარ გვეღირსა მისი საქმედ ქცევა. ვინ რას იტყვის, ბ-ნი სამსონ ელიაშვილი დიდის მადლობის ღირსია, რომ ნება-რთვა აიღო და კარგა ბლომა ფულიც შეაგროვა; ასეთი კაცი, ვამბობ, სანთლით საძებარია ჩვენს დროში და ჩემის მხრით ციდადაც ვმადლობ, მაგრამ საბოლოოდ საქმისთვის თავკუდის წაგლეჯა-კი ვერაფერი შვილია! ერთხანს ნება-რთვა სტოლში იდო, შემდეგ-კი „ივერიის“ ერთ ნომერში მადლობა იყო გამოცხადებული, სადაც ბ-ნი ელიაშვილი წიგნთ-საცავის „დამარსებლად და გამგედ“ იყო ნახსენები. ბ-ნი ელიაშვილი ბრძანდება ჩვენის თხოვნით ნება-რთვის ამღები და ფულების შემგროვებელი; „დამაარსებელნი“, ჩვენის აზრით, გახლავან ზემოხსენებული ხუთი კაცი; „გამგე“-კი—კრება ადრინდელისა და მომავალის წევრებისა.

ამას წინად ა. არაბიძის სახლში იკურთხა წიგნთ-საცავიც; დაუწესა თვეში ხუთი მანათი სახლის ქირა, ოცი ამნათი-კი ალ. არაბიძეს, როგორც გამგეს. „საიდგან სადაო, წმინდაო საბაო!“ წელიწადში 300 მანათი! მაშ ჩვენ უნდა შევინახოთ ალ. არაბიძე და არა წიგნთ-საცავი! სად აქვს ამდენი ძალა წიგნთ-საცავს და თუ შევიძელით, მაშინ ხომ წიგნების მაგიერ ცალიერი კედლები შეგვრჩება ხელში! საწევრო ფულები და შემოსავალი ვერ გაისტუმრებს სახლისა და გამგეს ქირას, ჩვენ-კი ჩალა-გამოვლებული უნდა ვიჯდეთ; ამას ჰქვია წიგნთ-საცავი? ჩვენ ვიცით დანამდვილებით, რომ 30 თუმნის მაგიერ აქ წიგნთ-საცავი შეინახება 14 თუ 16 თუმნით; ხოლო თუ ალ. არაბიძის სახლში იქნება, მაშინ შეგვიძლია ოცის მანათის მაგიერ გამგე თვეში თუმნად ვიქირავოთ; განა ეს ცოტა ფულს შეადგენს და ცოტა შეღავათია? ბ-ნმა ა. არაბიძემ გვითხრა: სახლს თვეში ხუთ მანათად „გითმობთო“. კარგი და პატიოსანი! ახლა-კი ყური მოვკარი, არაბიძე სახლს ხუთ მანათად მაშინ გვითმობს, თუ რომ იმას გამგედ ავირჩევთ, ამასა ჰქვიან „დათმობა“? ბევრი, ძლიერ ბევრი კაცი სცდილობს ისე მოგვაჩვენოს თავი, ვითომ ის სულ სხვა კაცი იყოს. ალბად ჰგონიათ, რომ ქვეყანაზედ ყველა ბრძენი არიან! თუ ასეა — ფეშქეშ!...

საბოლოო დასკვნა-კი ეს გახლავთ: ახლო მომავალში უნდა მოხდეს წევრთა კრება (ოცამდე კაცი ჩაეწერა კურთხევის დროს), რომელმაც უნდა გადასწყვიტოს შემდეგი საგნები: 1) სად იყოს წიგნთ-საცავი, არაბიძის სახლში, თუ სხვაგან; 2) დაუნიშნოს გამგეს ჯამაგირი; 3) ჩაიბაროს ძველის გამგეობისაგან წიგნები და ანგარიში; 4) აირჩიოს ახალი გამგეობა, რომელსაც დაევალება წიგნთ-საცავის ზრდისათვის ზრუნვა და სხვა. ახალი კრება ამ კითხვების გარშემო უნდა დატრიალდეს და კიდეც ვუსურვოთ მას კეთილად საქმის დაბოლოვება!.. მაშ ველოდოთ კრებას!...

ახლად გახსნილი წიგნთ-საცავი საძილედ დასასვენებელს ოთახს უფრო ჰგავს, ვიდრე სხვა რამეს; გაიღება 8 საათზედ კარი, ჯერ ერთი ნაცნობი შეივლის, ქუჩაში ხეტიალით თავმობეზრებული, მერე მეორე, მესამე, მეოთხე, ატყდება ჰაი-ჰუი, გესმის სიცილ-ხარხარი და ლაზღანდარობა, მთელის დაბის ჭორები და ვილაცაების განსჯა-გასამართლება! ახლა მიბრძანდით და იკითხეთ მოსვენებით წიგნები!...

ვ. სეფისპირელი

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ვანი,** (ქუთაისის მაზრა). დღემდის აქეთ გვარიანი გრილი ამინდი გვქონდა, ამ უკანასკნელს რიცხვებში-კი მეტად აგვიცხელდა. სიმინდის ყანები აქეთ მეტად კარგად არის, ღვინომ კი თქვენი ჭირი წაიღო. მამასახლისი მაღლაკელიძე გვპირდება გზების რიგიანად შეკეთებას თავისს სამამასახლისოში. ღმერთმა ჰქმნას ასრულებინოს ეს დაპირება; სამუდამოდ მოიპოვებს ამით კეთილს სახელს; აგრეთვე ძლიერ მონდომებულია ვანის ერთ კლასიან სკოლის ორ კლასიანად გადაკეთებას მომავალ სამოსწავლო წლიდგან. ამ სასწავლებლის მასწავლებლად დანიშნულია ბ-ნი ქუთათელაძე. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი მასწავლებელი დასდებს შრომას, დააყენებს კარგს ნიადაგზედ ამ სასწავლებლის საქმეს და ამითი გაუხალისებს დაბეჩავებულს გულს მოსწავლეების მშობლებს.

ამას წინად „საბჭოს“ იარმუკაში გასტეხეს ქურდებმა აზ. დიმ. ლორთქიფანიძის დუქანი და გაიტანეს, რაც-კი შიგ მოიპოვებოდა; მაშინვე გამოუდგნენ უკან აქაური „ხევისთავები“, დაიხმარეს ტობანიერის საზოგადოების „ხევისთავებიც“, მონახეს და დაიჭირეს ბოროტ-განმზრახველები. სწორედ დიდი მადლობის ღირსია აქაური „ხევისთავი“ აზ. ვლადიმერ ლასხიშვილი და ტობანიერის „ხევისთავი“ აზ. იულიანე შერაშენიძე, რომლებმაც გულმოდგინედ მოჰკიდეს ხელი თავიანთ მოვალეობას. სრული იმედი გვაქვს, ბ-ნი ვლ. ლასხიშვილი და იულ. შერაშენიძე კვლავაც არავის დაერიდებიან და დიდს ყურადღებას მიაქცევენ ამ მეტად სასარგებლო საქმეს, რომელსაც შეადგენს ქურდობის მოსპობა.

„ურიების“ ბაზარი თან და თან ჰქმატულობს: ებრაელებმა აქ რამოდენიმე ქვითკირის შენობა გამოსჭიმეს, რადგანაც ხის შენობებით დაშინებულნი იყვნენ ცეცხლისაგან. „საბჭოს“ იარმუკობა თან და თან ჩაქდება; მადლობის ღირსია თ. ალექსანდრე ნიჟაის მე მიქელაძე, რომელმაც საკმაო ადგილი შესწირა იარმუკას და მეტად უწყობს ხელს ახლად დაარსებულ ბაზარს. რადგანაც დუქნების რიცხვი, როგორც „ურიებში“, აგრეთვე ახალ იარმუკაში, თანდათან მატულობს, ამისათვის ძლიერ საჭიროა მედუქნეების ხარჯით ერთი პოლიციის მოხელე იქმნას დანიშნული წესიერების დასაცველად.

ჩვენის ეტლების საქმე ეხლა და ეხლა უფრო გაზადა. ივლისის თვეში შემოსვლია „ამხანაგობას“ ორმოც თუმნამდე; თქმა არ უნდა, რომ ამხანაგობა საზამთროდ კიდევ უკეთესად მოაწყობს ეტლების მიმოსვლის საქმეს. ამდენის ხნის მათი ხელის შემლა უფრო გზების უვარგისობას უნდა დავაბრალოთ.

ვლადო ბზვანელი

# უცხოეთი

**კუბა და ფილიპის კუნძულები.** გაზეთები სწერენ: „მართალია ომს ბოლო მოეღო, მაგრამ ფილიპეს კუნძულებსა და კუბაში მშვიდობიანობა ჯერ არ დამყარებულა. პირ იქით, რაც დრო და ხანი გადის საქმე იმდენად მწვავდება, რომ შეიძლება ამერიკის ჯარსა და მეამბოხეთა შორის შეტაკებაც-კი მოხდეს. მანილაში ამერიკელებს აგვინალდოს უოფა-ქცევა მოსვენებას არ აძლევს. ხოლო კუბაში — უოფა-ქცევა მეამბოხეებისა, რომელნიც ომის შემდეგ თითქმის ამერიკელების მტრებად გარდაიქცნენ. 13 ათას მეამბოხეს აზრადა ჰქონდა ქალაქ სანტ იაგოში შევარდნილიყო და, ამერიკის მთავრობის განკარგულების წინააღმდეგ, მაღად აეღო ეს ქალაქი. მეამბოხეთ არავითარი ყურადღება არ მიაქციეს გენერლის ლაუტონის პროკლამაციას, რომელშიაც ის, შეერთებულის შტატების სახელით, ურჩევდა მეამბოხეთ იარაღი დაეჭყარეთ და თქვენს სოფლებში წადითო. გენერალმა უოლერმა განაცხადა, კუბის საქმეები რამდენსამე წელს ამერიკელებმა უნდა განაგონ, რომ კუნძულში მშვიდობიანობა და წესრიგი დაამყარონო“.

**ავსტრი-უნგრეთი.** 18 აგვისტოს მთელმა ავსტრი-უნგრეთმა დიდის დიდებით იდღესასწაულა მხცოვანის იმპერატორის ფრანც-იოსების დაბადების დღე. ამავე დღეს იმპერატორს 50 წელი შეუსრულდა მას შემდეგ, რაც იგი ავსტრი-უნგრეთის ტახტზედ ავიდა. ამის გამო ვენაში სხვა-და-სხვა კუთხიდგან მრავალმა დეპუტაციამ მოიყარა თავი. სოფლებსა და ქალაქებში ყველგან პარაკლისები იქმნა გარდახდილი. ხალხმა ამ დღეს თითქმის ყველგან მუშაობას თავი გაანება და სადღესასწაულოდ მოირთო. აწინდელს ავსტრი-უნგრეთის იმპერატორს საზოგადო სიყვარული აქვს დამსახურებული. მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიის სხვა-და-სხვა ერებს საშინლად სძულთ ერთმანეთი და მათ შორის განუწყვეტელი ბრძოლაა ატეხილი, იმპერატორი ერთად-ერთი კაცია მთელს იმპერიაში, რომელსაც ყველანი, განურჩევლად ეროვნებისა და მიმართულებისა, დიდს პატივსა სცემენ. სწორედ ამიტომ იმის დაბადების დღეს და მეფობის 50 წლის იუბილეს მთელი ავსტრი-უნგრეთი სიხარულით მიეგება.

**იტალია.** გაზეთები იუწყებიან, რომ რომის პაპი ლევ მე-XIII ეხლა უკეთ არისო. თუმცა ჯერ კიდევ სისუსტესა ჰგრძნობს, მაგრამ ჩვეულებრივ საქმეებს მაინც აკეთებსო. მიუხედავად ამისა, პაპის ავადმყოფობამ მთელის ვატიკანის კარდინალები და ბერები აალაპარაკა. კარდინალები პაპის ავადმყოფობას კი არა სწუხდნენ და სწუხან დღესაც: იმათი საქმარელი ის არის, აწინდელის პაპის ლევ მე-XIII-ის გარდაცვალების შემდეგ ვინ აგვირჩიოთ იმის მოადგილედაო. ბევრი კანდიდატი იქმნა დასახელებული, მაგრამ მათ შორის უპირატესობას მხოლოდ ორს აძლევენ: პაპის სტატს-სეკრეტარს, კარდინალ რამპოლს და ბოლონიის არქიეპისკოპოსს, კარდინალ სვამპას. რამპოლს მხარს იეზუიტებიც უჭერენ. ამათ გარდა ასახელებენ: 70 წლის კარდინალს, ტურინის ებისკოპოს ორელიას, რომელიც დიდი წინააღმდეგი იყო ლევის XIII-ის პაპად არჩევისა; კარდინალს კონუტელის, რომელიც ამ ჟამად 63 წლისაა და რომელსაც გამოცდილის დიპლომატის სახელი აქვს გავარდნილი; შემდეგ ასახელებენ კიდევ 90 წლის კარდინალს დი-კანოსსას და 93 წლის კარდინალს მერელს.

**ოსმალეთი და საბერძნეთი.** ჯერ ერთი წელიწადი არც-კი გასულა ოსმალეთ-საბერძნეთის ომის შემდეგ, რომ კონსტანტინეპოლსა და ათინაში უკვე ლაპარაკი დაიწყეს ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის სამეგობრო კავშირის დადების შესახებ. ამას წინად საბერძნეთის მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფი რალლი კონსტანტინეპოლში იყო, სადაც სულთანმა სასახლეში მიიღო და მთელი ერთი საათი ელაპარაკა. რალლის ეხლა, როგორც ფრანგული გაზეთები იუწყებიან, გადაუცია ერთის გაზეთის კორესპონდენტისათვის: სულთანმა მითხრა, რომ კარგი იქმნება ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის სამეგობრო კავშირი დავდოთო. ამ შემთხვევაში გერმანიისა და ავსტრიის მაგალითს უნდა მივბაძოთ, რომელნიც სადავოისთან მომხდარ ომის შემდეგ უფრო დაუახლოვდნენ და დაუმეგობრდნენ ერთმანეთსაო.

# წერილი კონსტანტინეპოლიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

3 აგვისტო

ისევ მითქმა-მოთქმაა, ისევ ციებ-ცხელება ბოსფორის მიდამოებზედ. რაო-და, ინგლის-ამერიკელთა კავშირი შეიკრაო; ნეტავი ვისის ოჯახის დასაქცევად ემზადებიან, ან ჩვენთვის რას ჰფიქრობენო. ეჭვი არ არის, ისინი და, საზოგადოდ, ყველა ქრისტიანთა მეფენი ჩვენთვის კარგს არას იფიქრებენ, მხოლოდ, რასაკვირველია, ესეც ცხადია, რომ ამ მშვენიერს ალაგს, ჯერ ჯერობით მაინც, არავის გადააყლაპვინებენ და ვიდრე ისინი ერთმანეთთან მორიგდებოდნენ, შეიძლება ჩვენც მცირეოდენი ღონე მოვიკრიბოთ, ის, რასაც ევროპა მიზეზად გვიდებს, მოვსპოთ და რაღა ექნებათ სამიზეზოო. დიახ, ასე ფართი-ფურთობენ ოსმალნი, მაგრამ მერმისი რას მოიტანს, ეს არავინ იცის. ვინ იცის, იქნება ამ ცოტა ხანში ისეთი გოლიათური ომიც ვიგემოთ, რომლისთანა ჯერ ისტორიამაც არ უწყის.

აქ ვრცელდება ხმები, ინგლისი და რუსეთი შეეტაკნენ ერთმანეთსაო. ომის ასპარეზი, როგორც აქაური გაზეთები იუწყებიან, ჩინეთის მიდამოებს უნდა დაეთმოს ჯერ ჯერობით მაინც და, შემდეგ-კი თვით გარემოებისაგან არის დამოკიდებული. ასე თუ ისე ოსმალეთი დიდს საფიქრებელშია ჩავარდნილი. „ინგლის-ამერიკამ რომ მოგვთხოვოს ბოსფორის კარის გაღება, რა უნდა ვქნათო“? მართლაც ამ ორს უზარმაზარ ზღვისა და ხმელეთის ლომებს, ნუ თუ შესაძლებელია, ოსმალეთი წინააღუდგეს. პორტო-რიკო, სანტ-იაგო და სხვა ესპანიის ზღვისა თუ ხმელეთის სიმაგრეები გაცილებით უფრო კარგად იყო გამაგრებული ოსმალეთის დარდანელსა და სხვა ადგილებზედ, მაგრამ ამერიკის ახალის სისტემის ზარბაზნების ყუმბარებს, რომლებიც რამდენიმე ათეულ საჟენით უფრო შორს უწევს, ვიდრე სხვა ყველა დღევანდლამდე ევროპაში ცნობილი ზარბაზნების ყუმბარები, ვერ დაუმაგრდა. ოსმალეთს დღეს ყველა თავისი ზირხალები აქეთ-იქით ჰყავს დაფანტული, დარდანელში მარტო სამი ზირხალია (საომარი გემი): „აზიზიე“, „ჰამიდიე“ და „ოსმანიე“. როგორც აქ მოხსენებული, ისე ოსმალეთის სხვა საომარი გემები ძველის ყაიდისაა, ასე რომ არა თუ ამერიკის ახალ სისტემის გემებს, ევროპის სხვა გემებსაც ვერას დააკლებს. აი ეს გარემოებაა, რომ ოსმალეთს აფიქრებს. მხოლოდ იგი მაინც დარწმუნებულია თავისს სიუცხოვე და სხვისთვის გაუგებელ სარწმუნოებრივ ძალ-ღონეზედ. „ყუმბარად არვის არას დავანებებო; მწვანე ბაირაღის გამოტანაც რომ დაგვჭირდეს, არც იმას შევუდრკებითო.“

როგორცა სჩანს, ჩვენმიერ მოთხრობილი ამბავი, რომელიც ამას წინად დაიბეჭდა „ივერიაში“ (№ 107), სრულიად გამართლდა. გარდა იმისა, რომ აქაური გაზეთები უკვე ამტკიცებენ ინგლის-ამერიკის კავშირის შეკვრას, რომელსაც უეჭველია იაპონიაც არ უნდა აკლდეს; პატივცემული კორესპონდენტი „ივერიისა“ ბ-ნი მარველიც ამასვე ამტკიცებს („ივერია“ № 153.).

ჩვენს მშვენიერს ბოსფორს ერთი ვეებერთელა ჯავშნიანი გემიც ესტუმრა, ეს გახლავს „სტანდარტი“, რუსეთის საუკეთესო საომარი გემი. მართლ-მორწმუნეთა ხალიფამ დიდი პატივი სცა. გუშინ გაჰგზავნა გემის მოხელეთა პატივ საცემლად ერთი დიდი სანოვაგით სავსე ნავი. სასმელ-საჭმელისა და ხილეულების გარდა, 150 ცხვარი ცოცხლად გაატანეს.

აი კიდევ ახალი ამბავი. ოსმალეთის ქვეშევრდომს, თუ იგი კავკასიის მცხოვრებელია და მაჰმადიანი, რუსეთში წასასვლელს პასპორტს აღარ აძლევენ. ასევე ეპყრობიან ურიებსაც. მხოლოდ ისინი თავიანთის საკვირველის გამჭრიახობით აქაც ახერხებენ საქმეს, იღებენ საბერძნეთში წასასვლელს პასპორტებს და რუსეთში მიდიან. ამ რამდენისამე დღის წინად ერთი სასაცილო ამბავი მოხდა. ერთი ურია წავიდა აქედგან ოდესაში საბერძნეთის პასპორტით. მივიდა თუ არა ოდესაში, როგორღაც დაავიწყდა თავისი ახალი სახელი და გამოსტეხეს. ამანაც თავისის მხრით ამცნო, რომ „მე მარტო კი არა ვარ, მეორე გემზედ 50 კაცი კიდევ მიდიო“. მოვიდა თუ არა მეორე გემი, გამოცხადდა ჟანდარმი

და დაიწყო ნამდვილის სახელების ძახილი, რადგან მოშკას ყველას სახელები უკვე ეუწყებინა. ყველანი უკან დააბრუნეს.

დღემდის აქ სრულიად არა ცხელოდა, დადგა აგვისტო და ისე დაცხა, რომ ჯერ არავის ახსოვს აქ ასეთი სიცხეები.

იასე რაჭველი

---

## ნაკვესი

—

ერთს ღვინის მოტრფიალეს ჰკითხეს:

— ყურძენი არა გნებავთო?

— გმადლობთ, ღვინის აბებად ყლაპვით გემოს ვერ ჩავატან ხოლმეო, უპასუხა.

---

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნაკი „დიდ ოთხშაბათი“, პოემა იასონ ციციშვილისა. პოემა თუმცა დიდი არ არის (წიგნაკი მცირე ფორმატისაა და შეიცავს 31 გვერდს), მაგრამ მრავალ „ხელის-ხელ საგოგმანებელს მარგალიტს“ შეხვდებით შიგ. სანიმუშოდ საკმარისია მოვიყვანოთ აქ რამდენიმე ადგილი:

„აქ მომილხინა ბუხარმა,
მასვა ყანწითა არაყი
და ისე გამოვიბრუჟე
როგორც „პიტკინა“ სალდათი;
რა იგი თავში შემიჯდა
პილატეს მცხარე ნაცრემლი,
ზურგს მომეხსნა შიშის ელდა
და შევიქენ ვითა კაცი;“

რაკი ჩვენ გმირს (თვით პოემის ავტორს) „პილატეს ცრემლი თავში შეუჯდა“ და „ზურგიდგან მოეხსნა შიშის ელდა“, გამბედაობაც მოემატა თურმე და

„...დაუწყე წამალს ძებნა
შენანახსა თაროს ძირში;
აგერ! ვპოვე იგი კოჭბით
უცნაური შავი სითხე,
მყრალი იყო მეტის მეტი
ხელს ვიჭერდი მწარედ ცხვირზედ;
. . . . . . . .
ამოვილე იგი სითხე,
და წავისვი მე იღლიებს.
ვნახე უცებ შემანგრია
ამიშალა შიშმა თმები.
მისი სითხე იქვე ცოცხსა
ზედ როგორაც მოცხებიყო,
ცოცხი შეხტა შეტრიალდა
გამეჩხირა ფეხებ შუა,
ამწია და ამიტაცა
ამაძვრინა უმალ ბანში
და ქარივით გამაქროლა
თვალთ უწვდენელს მაღლა ცაში“.

წავიდა და ღმერთმა მშვიდობის გზა მისცესო, იტყვის ამ ლექსების წამკითხველი, მაგრამ საუბედუროდ ეს უცნაური, ცოცხზედ შემჯდარი პოეტი ისევე ბრუნდება და ამგვარისავე ლექსებით ამშვენებს თავისს პოემას, თუმცა თითონვე სამართლიანად ამბობს, რომ შეიძლება ეს პოემა

„ხელ-უხლებლად იდვას შკაფებში
ბაღლინჯოს და ჰია ღუის საბუდრად“-ა.ც.

ეს ისეთის ღირსების ლექსებია, რომ, ვგონებ, ბაღლინჯო და ჩრჩილიც არ მიეკარებიან, ამათ ესტეტიურს გემოვნებასაც-კი ვერ დააკმაყოფილებს.

---

### შემოწირულება

—

სიღნაღის მაზრის სოფ. ზემო-მაჩხაანს ერთს კერძო ოჯახში სტუდენტის მ. მჭედლიშვილის მიერ კნ. მარიამ ვახტანგის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანის გარდასაცემად იმ ქართველ ქალთა სასარგებლოდ, რომელთაც უმაღლესის სწავლის მიღება ჰსურთ, შეკრებილ იქმნა 11 მან. და 1 კაპ. ეს ფული შემოსწირეს: ბლაღოჩინმა სიმ. კირ. ძემ ღვთისავარიშვილმა—1 მან. და 1 კაპ., თითო მანეთი: თავ. ნ. დ. ერისთავმა, კნ. ა. ერისთავმა, სოფიო პაატის ასულმა ზარაფიშვილმა, ლიდია ანტონის ასულმა ნატროშვილმა, ქეთო ქრისტ. ასულმა ზარაფიშვილმა, ა. ი. ნატროშვილმა, ი. ა. ზარაფიშვილმა, ა. მ. ახნაზაროვმა, ლ. ლ. მგელაძემ და თ. მჭედლიშვილმა. ეს ფული დანიშნულებისამებრ გარდაეცა.

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

41 აგვისტო

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ინება და ბრძანა —დაარსდეს ორი უნივერსიტეტი: ერთი ვარშავაში და მეორე ოდესაში.

კონტრ-ადმირალი ნიკონოვი დანიშნულ იქმნა იმპერატორის ალექსანდრე მე-III-ს ნავთ-სადგურის უფროსად.

**მადრიდი.** ბიზაიასის გუბერნატორი გენერალი რიოსი იუწყება, რომ კვლავ ბრძოლა მოხდა მეამბოხეებთან. მათ შორის მოკლულია და დაჭრილი 500 კაცი. ესპანიელთა შორის ზარალი მცირეა. რიოსმა შეკრიბა ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან ექვსი ბატალიონი, რომელთა დანიშნულებაა დაუშალოს მეამბოხეთა შემოსევას; დაარსებულია აგრეთვე მცირე ესკადრა.

**პარიჟი**. ესტერგაზი წარსდგა დღეს სამხედრო-საგამომძიებელო სასამართლოს წინაშე შეიკრიბა შატადოს კაზარმაში.

**მანილია.** მეამბოხეთა სარდლებმა განაცხადეს, რომ განზრახვა გვაქვს ამერიკელებთან ერთად ვიმოქმედოთ და დაუყოვნებლივ დავყრით იარაღს, თუ დავრწმუნდებით, რომ პილეპეს კუნძულები გარდიქცევა ამერიკისა ან ბრიტონიის კოლონიებად და ან კიდევ ერთ ერთობ სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ იქმნება. თუ ეს ასე არ მოხდაო, იარაღს არ დავყრით და თუ ამერიკელები წავიდნენ, ერთის თთვის განმავლობაში კვლავ ამბოხებას მოვახდენთო.

**კრონბერგი.** საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე თავისის მეუღლით წაბრძანდნენ მოსკოვს იმპერატორის ალექსანდრე II-ს ძეგლის კურთხევაზე დასასწრებლად. მოსკოვიდგან მემკვიდრე მეუღლითურთ წაბძანდება დანიაში.

---

### „ივერიის“ ფოსტა

**ვ. მინდა—ს** არ დაიბეჭდება.

**ვ. რ—ს.** თქვენ მიერ უკანასკნელად გამოგზავნილი ორი ლექსი არ დაიბეჭდება.

**სოფ. ძ—ლი. ს—ძეს.**, არ დაიბეჭდება.

**მათვალიერებელს.** არ დაიბეჭდება.

**ძ. პ—ი თ. თ. გუგ—ლს.** არ დაიბეჭდება.

**დროებით აჭარელს.** არ დაიბეჭდება.

**დიონ—სეს** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება, რადგან ჩვენს გაზეთს არ შეეხება ეგ საქმე, თუ გნებავთ, იმ რედაქციას გარდავცემთ, რომლის შესახებაც სწერთ. თქვეი სურვილი წერილით გვაცნობეთ.

**ძ. ძ—ხი. ე. ძ—ძს.** სხვა გაზეთის თეატრის მემატიანეს შეცდომებს ჩვენ ვერ გავასწორებთ, თვით იმ გაზეთის რედაქციასვე მიჰმართეთ.

**ნუკრიანელს.** არ დაიბეჭდება.

**დ. ო—რე. ძ. გ—იას.** არ დაიბეჭდება.

**შ—დია.** „შესაწყნარია თუ არა?“ არ დაიბეჭდება.

**ერთს დამსწრეთაგანს.** არ დაიბეჭდება.

**დ. ნუკრიანელს.** არ დაიბეჭდება.

**ძ. ძ—ვი. ბ. დ—შვილს.** უმეტესობა თქვენ-მიერ გამოგზავნილისა დაიბეჭდება.

**გუჯუს** წვრილმან წერილების დაბრუნებას რედაქცია არა ჰკისრულობს.

---

## განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 28 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, ამა გამგეობის თანადასწრებით, დანიშნულია საჯაროდ იჯარის გაცემა იმისი, თუ ვინ იკისრებს ცხენების საკვების მომზადებას, სახელდობრ: 95 ათასი. ფუთ ქერისა, 65 ათასი ფუთ. თივისა და 40 ათასი ფუთ. ბზისა. მსურველთ შეუძლიანთ პირობანი განიხილონ გამგეობის აღმაშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე.

(3—6—1)

### ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

მიმდინარის წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ სამოც-დაშვიდი ვაკანსია (67): პირველ განყოფილებაში 50 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორეში— თერთმეტი (11) —(8 და 9 წლის ყმაწვ.) და მეოთხეში—6 (10—11 წლ. ყმაწვ.); სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

67 ვაკანსიიდგან 66 არის დანიშნული გარედგან მოსიარულებისათვის და ერთი არის საზოგადოების სრულს ხარჯზედ.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკიდგან, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, და დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, დამფუძნებლობის გარდა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს პანსიონში იმ ყმაწვილებს, ორმელნიც არ წარმოადგენენ მათზედ დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სასწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასს.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნაკლებ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი, ათი შემოსვლისათანავე და ათი—იანვარში.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 25-დამდის, ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოჰგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской школой, на Лабораторной ул.

აგვისტოს 25, 26, 27 და 28 რიცხვებში მოხდება ხელ მეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 31 მისაღები ეგზამენები. 1 სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქმნებიან აგრეთვე ის გარედგან მოსიარულეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ $189^8/_9$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობელმა უნდა წარმოადგინოს თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (10—უ.—9)



Покупайте только
ЦВѢТОЧНЫЙ
О-ДЕ-КОЛОНЪ,
ИЗОБРѢТЕННЫЙ
Товариществомъ
Брокаръ и Ко.
Этотъ о-де-колонъ употребляется
какъ духи,
туалетная вода
и куренія.
Остерегаться поддѣлокъ.
(11—მ—4)



## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეჩვიდმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1898—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო გეოგრაფია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3), ბუხგალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევის და მთის ქუჩაზედ, ავთაიქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანსველიანცს, ტფილისს. (24—19)



### წმინდა ქინაქინა გოგირდ-მჟავე და მარილ-მჟავე

ყველას შეძლება ეძლევა შეიძინოს სახლისათვის საჭირო სამკურნალო წამალი მეტად იაფ ფასად პროვინციის ყველა დიდ ვაჭართან. მოსკოვის

## რ. კელერისა და ამხ.

თავმდებობით. სიყალბის თავიდგან ასაცდენად მსყიდველმა ყურადღება უნდა მიაქციოს ბანკაზედ მიკრულ ამხანაგობის იარლიკსა და გაუფუჭებელ მავთულიან ბადეს, რომელსაც დამღა ექნება ზედწარწერით: „რ. კ. და ამხ.“ Чистый хининъ (3—მ.—2)



## КЪ ВОПРОСУ

**О поднятіи образованія среди грузинскаго дворянства.**

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წმინდა შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ დამშეულთა საქართველოში და რუსეთში. ფასი ერთი აბაზი. ვინც ათს წიგნს ან მეტს იყიდის, იმას წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად. მყიდველთ უნდა მიჰმართონ ხსენებულს მაღაზიას. (12—10)


[Дозвол]ено цензурою, Тифлисъ 14 го Августа 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.